ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 106

„23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 18 სექტემბრის №7/34061 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქ. თბილისში, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ვახუშტის სახელობის ხიდის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.10.13.016.126) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი